„ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლებისათვის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 28 ნოემბრის №661/13 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია") აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლის საფუძველზეც შემუშავდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები". ხსენებული რეკომენდაციებით განისაზღვრა ადგილობრივი საეთერო მაუწყებლებისთვის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექსპლატფორმის ფორმირებისთვის საჭირო სიხშირული რესურსის მინიჭების საკითხები და ქსელების აგების ვადები.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონით (ძალაში შევიდა 2014 წლის 27 თებერვალს, საერეგისტრაციო კოდი 320110000.05.001.017341), ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, კომისიამ, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, უნდა იხელმძღვანელოს „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 გაკარგულებისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის (ძალაში შევიდა 2014 წლის 27 თებერვალს, საერეგისტრაციო კოდი 320110000.05.001.017341) საფუძველზე კომისიამ 2014 წლის 28 ნოემბერს მიიღო №661/13 გადაწყვეტილება ,,ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლებისათვის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე".

2016 წლის 18 მაისს, საქართველოს მთავრობის №862 განკარგულებით მოწონებულ იქნა ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციების II ეტაპი, რომლითაც, არსებული მდგომარეობისა და ადგილობრივი მაუწყებლების თხოვნის გათვალისწინებით, ადგილობრივ მაუწყებლებს/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებებს ადგილობრივი მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექსპლატფორმის სრულად ფორმირების ვადად განესაზღვრათ, საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმისა და კომისიის 2014 წლის 28 ნოემბრის №661/13 გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული ვადა, არაუგვიანეს 2017 წლის 1 მარტისა, ხოლო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, მულტიპლექსპლატფორმის სრულად ფორმირებისთვის და მულტიპლექსპლატფორმაში არსებულ თავისუფალ რესურსთან მსურველი (საქართველოს ფარგლებში ავტორიზებული) მაუწყებლების არადისკრიმინაციული დაშვებისათვის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 4 თვის ვადა.

ადგილობრივ მაუწყებლებს/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებებს განესაზღვრათ მათ მიერ ფორმირებული ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექსპლატფორმის საშუალებით საკუთარი სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების ვალდებულება 2016 წლის 1 ივნისამდე. იმავდროულად, განისაზღვრა კომისიის უფლებამოსილება, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მაისის №862 განკარგულებით მოწონებული ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი რეკომენდაციებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გააუქმოს ადგილობრივი მაუწყებლისთვის, ხოლო ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების შემთხვევაში ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებისთვის ან/და ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების იმ მაუწყებლისთვის, რომელიც ვერ ასრულებს ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი რეკომენდაციების პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვალდებულებებს, რადიოსიხშირებული რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭება. ადგილობრივ მაუწყებელთათვის საქართველოს მთავრობის 2016 წლის

18 მაისის №862 განკარგულებით დაწესებული ვალდებულებები აისახა კომისიის 2016 წლის 19 ივნისის №384/19 გადაწყვეტილებაშიც.

კომისია აგრეთვე აღნიშნავს, რომ 2016 წლის 22 აპრილის №6 წერილით შპს დამოუკიდებელმა სამაუწყებლო კომპანია „გურიამ“ მიმართა კომისიას (კომისიაში რეგისტრაციის №შ-3860-16 25.04.16), სადაც აფიქსირებს, რომ გადამცემ სადგურზე სარემონტო სამუშაოების გამო დროებით შეაჩერა მაუწყებლობა. შპს დამოუკიდებელმა სამაუწყებლო კომპანია „გურიამ“ 2016 წლის 10 ივნისს (კომისიაში რეგისტრაციის №შ-5378-16 10.06.16) კვლავ მიმართა კომისიას წერილით იმის თაობაზე, რომ იგი დროებით წყვეტს მაუწყებლობას და მაუწყებლობის განახლების შემთხვევაში დამატებით აცნობებს კომისიას. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს 2016 წლის 18 მაისს საქართველოს მთავრობის №862 განკარგულებით მოწონებული ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების II ეტაპის, ნაწილი 1-ის, პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით და კომისიის 2014 წლის 28 ნოემბრის №661/13 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, რაც დასტურდება კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის და მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტებში დაცული ინფორმაციითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ,,ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლებისთვის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 28 ნოემბრის № 661/13 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა და ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ადგილობრივი მაუწყებლების ნუსხიდან შპს დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია „გურიის“ ამოღება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ,,ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლებისათვის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 28 ნოემბრის №661/13 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

   ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „1. მიენიჭოს შპს „ეკომს", შპს ტელეკომპანია „გურჯაანს”, შპს ტელეკომპანია „თანამგზავრს”, შპს ტელე-რადიო კომპანია „თვალს", სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიას", შპს „ომეგას", შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთს", შპს ტელეკომპანია „დიას”, შპს ტელე-რადიო კომპანია „ბორჯომს", შპს სამაუწყებლო კომპანია „იმერვიზიას”, შპს ტელერადიო კორპორაცია „ინფორმკავშირი ტელევიზია არგოს", შპს „იმპერიას", შპს ტელერადიოკომპანია „რიონს”, შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „მეგა-ტვ-ს", შპს ტელე-რადიო პრესკომპანია „ზარს", ააიპ „მედია ცენტრს ღია აფხაზეთისათვის", შპს დამოუკიდებელ ტელეკომპანია „ეგრისს", შპს დამოუკიდებელ ტელერადიოკომპანია „ოდიშს", შპს „ტელეარხ 25-ს" და შპს სამაუწყებლო კომპანია „მეცხრე ტალღას" რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების უზრუნველსაყოფად წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული გეოგრაფიული კოორდინატებისა და ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, 2015 წლის 17 ივნისიდან 10 წლის ვადით;“

   ბ) გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „2. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში აღნიშნულ მაუწყებელთა მიერ ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების უზრუნველსაყოფად განისაზღვროს ძირითადი გადამცემი სადგურების განთავსების გეოგრაფიული კოორდინატები, შესაბამისი სიხშირული რესურსი და ტექნიკური პარამეტრები:

№	კომპანია	ტელევიზიის სამაუწყებლო სადგურ-ის	სადგურის განთავსების გეოგრ. სიმაღლე	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის პარამეტრები	სიხშირული მახასიათებლები

	კომპანიის დასახელება				ჩრდილოეთ განედი (N)	აღმოსავლეთ გრძედი (E)	დაკიდების სიმაღლე ±5 (M)	[illegible]ბა (მიმართული/არამიმარ[illegible]	პოლარიზაცია H/V	სატელევიზიო არხი	ცენტრალური სიხშირე (MHz)	ზოლის სიგანე (MHz)
1	შპს „ეკომი"	GEO261	ლაგოდეხი	500	41°48'42.59"	46°10'16.80"	20	ND	H	7	186	8
2	შპს ტელეკომპანია „გურჯაანი”	GEO261	გურჯაანი	500	41°45'10.99"	45°48'39.90"	45	ND	H	11	218	8
3	შპს ტელეკომპანია „თანამგზავრი”	GEO259	თელავი	500	41°54'36.30"	45°28'6.50"	60	ND	H	10	210	8
4	შპს ტელე-რადიო კომპანია „თვალი"	GEO259	საგარეჯო	500	41°43'16.69"	45°20'46.00"	30	ND	H	6	178	8
5	სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია"	GEO259	რუსთავი	500	41°33'41.80"	44°58'41.10"	60	ND	H	10	210	8
		GEO259	მარნეული	500	41°29'31.57"	44°47'17.67"	30	ND	H	10	210	8
		GEO258	ბოლნისი	500	41°25'32.61"	44°32'22.80"	30	ND	H	8	194	8
6	შპს „ომეგა"	GEO258	მანგლისი	500	41°41'48.15"	44°24'58.48"	30	ND	H	11	218	8
7	შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი"	GEO256	გორი	2300	42° 1'56.11"	44° 2'50.90"	50	ND	H	32	562	8
8	შპს ტელეკომპანია „დია”	GEO256	ხაშური	500	42° 1'14.01"	43°35'26.00"	40	ND	H	11	218	8
9	შპს ტელე-რადიო კომპანია „ბორჯომი"	GEO256	ბორჯომი	500	41°49'26.50"	43°23'0.50"	30	ND	H	8	194	8
10	შპს სამაუწყებლო კომპანია ”იმერვიზია”	GEO253	ჭიათურა	500	42°17'16.01"	43°15'39.80"	80	ND	H	8	194	8
11	შპს ტელერადიო კორპორაცია „ინფორმკავშირი ტელევიზია არგო",	GEO253	ზესტაფონი	500	42° 7'6.30"	43°01'10,77"	128	ND	H	12	226	8
12	შპს „იმპერია"	GEO255	ახალციხე	500	41°37'48.41"	42°57'25.00"	35	ND	H	6	178	8

13	შპს ტელერადიოკომპანია „რიონი",	GEO253	ქუთაისი	2300	42°16'48.89"	42°44'11.40"	115	ND	H	37	602	8
14	შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „მეგა-ტვ"	GEO253	ხონი	1900	42°19'27.00"	42°25'20.70"	65	ND	H	25	506	8
15	შპს ტელე-რადიო პრესკომპანია „ზარი"	GEO253	სამტრედია	500	42° 9'50.80"	42°20'33.90"	55	ND	H	6	178	8
16	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის"	GEO253	ჩხოროწყუ	500	42°31'13.99"	42° 7'32.60"	40	ND	H	7	186	8
		GEO250	წალენჯიხა	500	42°36'59.99"	42° 3'45.20"	25	ND	H	7	186	8
17	შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისი",	GEO253	სენაკი	500	42°17'23.70"	42° 3'27.80"	30	ND	H	11	218	8
18	შპს დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანია „ოდიში"	GEO250	ზუგდიდი	2300	42°30'27.09"	41°52'16.60"	48	ND	H	47	682	8
19	შპს „ტელეარხი 25",	GEO252	ბათუმი	500	41°41'37.61"	41°42'55.20"	30	ND	H	7	186	8
20	შპს სამაუწყებლო კომპანია „მეცხრე ტალღა"	GEO252	ფოთი	500	42°11'16.29"	41°42'3.00"	80	ND	H	9	202	8

შენიშვნა: ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატების მიმართ 100მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).“

2. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა) წინამდებარე გადაწყვეტილების ასლის ადგილობრივი მაუწყებლებისთვის გაგზავნის უზრუნველყოფა;
3. გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტს (ი.მახარაძე), კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი) და კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს (ს. შავგულიძე).

კომისიის თავმჯდომარე	ვ. აბაშიძე
კომისიის წევრი	გ. ფრუიძე
კომისიის წევრი	მ. ქათამაძე